ინტერპრესნიუსი

28.10.2020

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობას 7 მლნ ლარზე მეტი მოხმარდება

წყალმომარაგების კომპანიამ, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბულაჩაურის წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, ტენდერში მონაწილეობის მსურველებს წინადადებების წარდგენა 5 ნოემბრამდე შეეძლებათ. როგორც წყალმომარაგების კომპანიაში აღნიშნავენ, პროექტის ღირებულება 7 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. „სოფელ ბულაჩაურში, მოძველებული და ამორტიზებული სისტემის გამო, არსებული წყლის დებიტი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სტაბილურ წყალმომარაგებას. პროექტი ითვალისწინებს სატუმბო სადგურის, რეზერვუარებისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობას. გარდა ამისა მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები 18 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც სოფელ ბულაჩაურის მოსახლეობა, დაახლოებით 3000 -მდე ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ინტერპრესნიუსი

მთავარი | პოლიტიკა | საგარეო | საზოგადოება | მსოფლიო | რეგიონი | ეკონომიკა | სპორტი | სამხედრ

რეგიონი 28.10.2020 / 12:05

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურში წყალმომარაგების სისტემის მშენებლობას 7 მლნ ლარზე მეტი მოხმარდება

წყალმომარაგების კომპანიამ, დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბულაჩაურის წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, ტენდერში მონაწილეობის მსურველებს წინადადებების წარდგენა 5 ნოემბრამდე შეეძლებათ. როგორც წყალმომარაგების კომპანიაში აღნიშნავენ, პროექტის ღირებულება 7 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

„სოფელ ბულაჩაურში, მოძველებული და ამორტიზებული სისტემის გამო, არსებული წყლის დებიტი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სტაბილურ წყალმომარაგებას.

პროექტი ითვალისწინებს სატუმბო სადგურის, რეზერვუარებისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობას. გარდა ამისა მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები 18 თვეში უნდა დაასრულოს, რის შემდეგაც სოფელ ბულაჩაურის მოსახლეობა, დაახლოებით 3000 -მდე ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/625992-dushetis-municipalitetis-sopel-bulachaurshi-cqalmomaragebis-sistemis-msheneblobas-7-mln-larze-meti-moxmardeba

ინტერპრესნიუსი

29.10.2020

ნამახვანჰესის მშენებლობის ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს

ნამახვანჰესის მშენებლობის ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს. აქციის რამდენიმე მონაწილემ კარვებიც გაშალა. აქტივისტების განცხადებით, პროტესტის გაგრძელებას მანამდე აპირებენ, ვიდრე ხელისუფლება ჰესის მშენებლობის პროცესს არ შეაჩერებს. „ჩვენ ვერ მივცემთ ხელისუფლებას იმის უფლებას, გააგრძელოს ეს საშიში პროექტი. სეისმურად აქტიურ და მეწყერსასიშ ზონაში 100 მეტრი სიმაღლის კაშხლის აგება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიას, არამედ ქუთაისს და მთლიანად დასათვლეთ საქართველოს", - აცხადებს ადგილობრივი მცხოვრები მაკა სულაძე.

ნამახვანჰესის მშენებლობის ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს. აქციის რამდენიმე მონაწილემ კარვებიც გაშალა. აქტივისტების განცხადებით, პროტესტის გაგრძელებას მანამდე აპირებენ, ვიდრე ხელისუფლება ჰესის მშენებლობის პროცესს არ შეაჩერებს.

„ჩვენ ვერ მივცემთ ხელისუფლებას იმის უფლებას, გააგრძელოს ეს საშიში პროექტი. სეისმურად აქტიურ და მეწყერსასიშ ზონაში 100 მეტრი სიმაღლის კაშხლის აგება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ ტერიტორიას, არამედ ქუთაისს და მთლიანად დასათვლეთ საქართველოს", - აცხადებს ადგილობრივი მცხოვრები მაკა სულაძე.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/626250-namaxvanhesis-msheneblobis-adgilze-adgilobrivi-mosaxleoba-saprotesto-akcias-martavs

ინტერპრესნიუსი

29.10.2020

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის სამუშაოები დაიწყო

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აქტიურად განაგრძობს მუშაობას რეგიონებში მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისთვის.
როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.
მათი ინფორმაციით, პროექტის მიზანია ადგილობრივების სტაბილური, ხარისხიანი წყალმომარაგება.
„სამუშაოებს, კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე, ირაკლი ნაფეტვარიძე ადგილზე გაეცნო.
სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“ ახორციელებს და 11 თვეში უნდა დაასრულოს. მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით სოფელში განთავსდა საინფორმაციო ბანერები. სამუშაოების ღირებულება 2,4 მილიონ ლარზე მეტია.

ინტერპრესნიუსი

მთავარი | პოლიტიკა | საგარეო | საზოგადოება | მსოფლიო | რეგიონი | ეკონომიკა | სპორტი | სამხედრ

რეგიონი 29.10.2020 / 10:41

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის სამუშაოები დაიწყო

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აქტიურად განაგრძობს მუშაობას რეგიონებში მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისთვის.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

მათი ინფორმაციით, პროექტის მიზანია ადგილობრივების სტაბილური, ხარისხიანი წყალმომარაგება.

„სამუშაოებს, კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე, ირაკლი ნაფეტვარიძე ადგილზე გაეცნო.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“ ახორციელებს და 11 თვეში უნდა დაასრულოს. მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით სოფელში განთავსდა საინფორმაციო ბანერები. სამუშაოების ღირებულება 2,4 მილიონ ლარზე მეტია.

ამ ეტაპზე, სოფელ აღაიანს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ ემსახურება. დასახლებაში არსებული წყალსადენის ქსელი ამორტიზებულია, მოსახლეობის ნაწილს თვითნებურად მოწყობილი ჭები აქვს, თუმცა ზაფხულის პერიოდში ჭაში წყალი შრება და ადგილობრივებს წყლის მოსატანად დიდი მანძილის გავლა უწევთ.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/626172-kaspis-municipalitetis-sopel-agaianis-ucqveti-cqalmomaragebistvis-samushaoebi-daicqo

ინტერპრესნიუსი

29.10.2020

„თავისუფალი საქართველო“ ხელვაჩაურის რაიონში მეწყერსაშიში ზონების აღრიცხვას იწყებს

„თავისუფალი საქართველო“ ხელვაჩაურის რაიონში მეწყერსაშიში ზონების აღრიცხვას იწყებს- ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" "თავისუფალი საქართველოდან" აცნობეს.
როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერებმა ხელვაჩაურის სოფელ ზედა ჯოჭოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ მეწყერსაშიშ ზონებში მცხოვრებ ადამიანებზე იზრუნოს, ის ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად განკარგავს და ადამიანების მოსყიდვით არის დაკავებული.
უზენაეს საბჭოში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სულიკო მიქელაძის განცხადებით, ხელვაჩაურის რაიონის მუნიციპალიტეტში არსებული 64 სოფელი მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს, თუმცა ხელისუფლება პრევენციის მიზნით, არაფერს აკეთებს. „დღეს ჩვენ, სოფელ ზემო ჯოჭოში ვიმყოფებით, სადაც საგანგაშო მდგომარეობაა. მდინარე ჯოჭო შეგუბებულია და არსებობს იმის რეალური საფრთხე, რაც წლების წინ თბილისში, მდინარე ვერეს შემთხვევაში მოხდა. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას სასწრაფო რეაგირებისკენ მოვუწოდებთ, თუმცა არჩევნების წინ, ისინი ადამიანების მოსყიდვით არიან დაკავებული და ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად ხარჯავენ. ხელისუფლება, მხოლოდ ტრაგიკული შემთხვევების დროს რეაგირებს და მათი რეაგირებაც როგორია, საზოგადოებამ ეს ძალიან კარგად იცის“,- განაცხადა სულიკო მიქელაძემ.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/626259-tavisupali-sakartvelo-xelvachauris-raionshi-mecqersashishi-zonebis-agricxvas-icqebs

ipn პოლიტიკა საგარეო საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

რეგიონი 29.10.2020 / 14:48

„თავისუფალი საქართველო“ ხელვაჩაურის რაიონში მეწყერსაშიში ზონების აღრიცხვას იწყებს

„თავისუფალი საქართველო“ ხელვაჩაურის რაიონში მეწყერსაშიში ზონების აღრიცხვას იწყებს- ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" "თავისუფალი საქართველოდან" აცნობეს.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერებმა ხელვაჩაურის სოფელ ზედა ჯოჭოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ მეწყერსაშიშ ზონებში მცხოვრებ ადამიანებზე იზრუნოს, ის ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად განკარგავს და ადამიანების მოსყიდვით არის დაკავებული.

უზენაეს საბჭოში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, სულიკო მიქელაძის განცხადებით, ხელვაჩაურის რაიონის მუნიციპალიტეტში არსებული 64 სოფელი მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს, თუმცა ხელისუფლება პრევენციის მიზნით, არაფერს აკეთებს.

„დღეს ჩვენ, სოფელ ზემო ჯოჭოში ვიმყოფებით, სადაც საგანგაშო მდგომარეობაა. მდინარე ჯოჭო შეგუბებულია და არსებობს იმის რეალური საფრთხე, რაც წლების წინ თბილისში, მდინარე ვერეს შემთხვევაში მოხდა. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას სასწრაფო რეაგირებისკენ მოვუწოდებთ, თუმცა არჩევნების წინ, ისინი ადამიანების მოსყიდვით არიან დაკავებული და ბიუჯეტის თანხებს არამიზნობრივად ხარჯავენ. ხელისუფლება, მხოლოდ ტრაგიკული შემთხვევების დროს რეაგირებს და მათი რეაგირებაც როგორია, საზოგადოებამ ეს ძალიან კარგად იცის“,- განაცხადა სულიკო მიქელაძემ.

როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, ბრიფინგზე განცხადება, გოგი წულაიამაც გააკეთა.

„თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარის თქმით, ქვეყანაში რადიკალური ცვლილებების დროა და ეს ცვლილება ხალხმა უნდა განახორციელოს.

ინტერპრესნიუსი 30.10.2020

თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის მშენებლობას 20 მილიონი მოხმარდება

ქალაქ თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 32 თვეში უნდა დაასრულოს.
როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიდან აცნობეს, სამუშაოების დაასრულების შემდეგ თეთრიწყაროში მცხოვრები 2 200 ოჯახი 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფი იქნება.
„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონებში მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისთვის მუშაობას აქტიურად განაგრძობს. ამჯერად, ქალაქ თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება - მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი. დაინტერესებულ პირებს წინადადებების წარდგენა 24 ნოემბრის ჩათვლით შეეძლებათ. კომპანიამ, 2012 და 2016 წლებში თეთრიწყაროში წყალმომარაგების პირველი და მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა. გამრიცხველიანდა მთლიანი მოსახლეობის 75 %. თუმცა ზაფხულის სეზონის დადგომისთანავე ქალაქში წყლის დებიტი საგრძნობლად იკლებს, შესაბამისად, მოსახლეობას ამ პერიოდში წყალი გრაფიკით მიეწოდება. თეთრიწყაროში არსებული რეზერვუარები 1980-იან წლებშია აგებული და რეაბილიტაციას საჭიროებს. სამუშაოები ითვალისწინებს, არსებული რეზერვუარების, სატუმბო სადგურისა და სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/626401-tetricqaros-cqalmomaragebis-sistemis-msheneblobas-20-milioni-moxmardeba

ინტერპრესნიუსი

მთავარი | პოლიტიკა | საგარეთალი | საზოგადოება | მსოფლიო | რეგიონი | ეკონომიკა | სპორტი | საზხეადრო

რეგიონი 30.10.2020 / 11:13

თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის მშენებლობას 20 მილიონი მოხმარდება

ქალაქ თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირებაზე ტენდერი გამოცხადდა. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები 32 თვეში უნდა დაასრულოს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიდან აცნობეს, სამუშაოების დაასრულების შემდეგ თეთრიწყაროში მცხოვრები 2 200 ოჯახი 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფი იქნება.

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რეგიონებში მოსახლეობის სტაბილური წყალმომარაგებისთვის მუშაობას აქტიურად განაგრძობს. ამჯერად, ქალაქ თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება - მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი. დაინტერესებულ პირებს წინადადებების წარდგენა 24 ნოემბრის ჩათვლით შეეძლებათ. კომპანიამ, 2012 და 2016 წლებში თეთრიწყაროში წყალმომარაგების პირველი და მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა. გამრიცხველიანდა მთლიანი მოსახლეობის 75 %. თუმცა ზაფხულის სეზონის დადგომისთანავე ქალაქში წყლის დებიტი საგრძნობლად იკლებს, შესაბამისად, მოსახლეობას ამ პერიოდში წყალი გრაფიკით მიეწოდება. თეთრიწყაროში არსებული რეზერვუარები 1980-იან წლებშია აგებული და რეაბილიტაციას საჭიროებს. სამუშაოები ითვალისწინებს, არსებული რეზერვუარების, სატუმბო სადგურისა და სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას.